ხაშურის მოამბე

№1 (472) 19 იანვარი, კვირა, 2024 წელი

დღეს ნათლისღებაა - გილოცავთ!

ნათლისღება — ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო და ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიათა ნაწილი (6) 19 იანვარს აღნიშნავს. ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე. ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება. ნათლისღება ის ძირითადი აქტია, რომლითაც ადამიანი ქრისტიანად ითვლება.

ამ დღეს ასევე ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად წმინდა სამება: ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამა ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ".

ნათლობის რიტუალს წინ უძღვის კათაკმევლობის პერიოდი, რომლის განმავლობაში ახალმოქცეული ემზადება ნათლისღებისთვის, ეცნობა ძირითად ჭეშმარიტებებს, სწავლობს მრწამსს, ესწრება საკვირაო ლიტურგიას, ოღონდ არა ბოლომდე. კათაკმევლობის პერიოდი განსაზღვრული არ არის. ასევე განუსაზღვრელია ასაკი ადამიანისა, რომელიც ინათლება. ნათლისღება ხდება წყალში სამჯერ შთაფვლით ან სხურებით, უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში — ქვიშით. ნათლობის რიტალს აღავლენს მღვდელი. მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, მონათლული განიწმინდება ცოდვებისგან და ხდება ქრისტეს ეკლესიის წევრი. მართლმადიდებლობა ნათლისღებას სულიერ შობად, მეორედ დაბადებად მიიჩნევს და ის მხოლოდ ერთხელ ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

ამ დღეს მართლმადიდებელი ქრისტიანები გრძელ რიგში დგანან ნაკურთხი წყლის ასაღებად, შედიან ზღვაში განსაბანად და ამავე მიზნით ჩადიან გაყინულ მდინარეშიც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე სრულდება მდინარეში მონათვლის უძველესი რიტუალიც. საქართველოს მოქმედ ტაძრებში სადღესასწაულო წირვა იმართება, წირვის შემდეგ კიეკურთხებადიდი აიაზმა და ნაკურთხი წყალი მორწმუნე მრევლს ურიგდება. ეს დღე 19 იანვარია - მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის 12 საეკლესიო დღესასწაულიდან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დღესასწაული - ნათლისღება. ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე. იორდანეში შესვლით (წყალში სამგზის შთაფვლით) იესო ქრისტემ „წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა" დადააწესა ქრისტიანული ნათლობა. მორწმუნე ქრისტიანებს სჯერათ, რომ ნაკურთხი წყალი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და შველის ავადმყოფებს. სჯერათ, რომ ნაკურთხ წყალში განბანვით ისინი ცოდვებისგან გათავისუფლდებიან. ტრადიციაა ისიც, რომ საქართველოში ამ დღესასწაულს ნათლულები ულოცავენ ნათლიებს. ამ დღეს განსაკუთრებული მზადებაა ხოლმე თბილისის სამების საკათედრო ტაძარში, სადაც წყალს თავად საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე, აკურთხებს. ბათუმში ნათლისღების საზეიმო აღნიშვნა ღამითვე იწყება მსვლელობით ზღვის სანაპიროსკენ, სადაც კოცონებს ანთებენ და ნაკურთხ წყალში განიბანებიან. ხოლო ჯავახეთში, კერძოდ, სოფელ ხოსპიოში, სადაც ზამთარში მდინარე იყინება, საყოველთაო ნათლობა 1988 წლის შემდეგ იმართება. ყინულს წინადღით ჭრიან, 19 იანვარს კი მთელი სოფელი იკრიბება და წყალკურთხევის შემდეგ მდინარეში შედის...

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

13 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ მოსმინა და ხმათა უმრავლესობით დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიშები:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წელს გაწეულ საქმიანობის თაობაზე.

მოხსენებები მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ღვალაძემ და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თათია ბროლიძემ წარმოადგინეს.

საბა ჩილაშვილი საქართველოს ჩემპიონია

ახლახანს დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც თავი ისახელა ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა საბა ჩილაშვილმა. იგი ზემძიმე (+ 130) წონაში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ვულოცავთ საბას ამ წარმატებას და გვჯერა, მისი სახით ხაშურს დიდი ჩემპიონი ეზრდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა მასზე დაკისრებულ სხვადასხვა სამსახურებრივ ფუნქციებს, მათ შორის: მოცემულ პერიოდში საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით სასამართლო წარმოებაში არსებულ საქმეებზე ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა შესაგებლები) სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში და ადმინისტრაციული საჩივრები ადმინისტრაციულ ორგანოებში.

საანგარიშო პერიოდში, სულ სასამართლო წარმოებაში იყო 58 საქმე (წლის დასაწყისში წარმოებაში იყო 43 საქმე და საანგარიშო პერიოდში დაემატა 15 საქმე). მოცემულ საქმეებზე მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო მხარედ. არსებული 58 საქმიდან 42 იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების, 13-სამოქალაქო სამართალწარმოების, 3-საქმე განიხილებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე. ზემოხსენებული 42 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებიდან 3 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირადაა ჩაბმული პირველი ინსტანციის სასამართლოში და ახდენდა მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას. სასამართლო წარმოებაში არსებული საქმეებიდან 6 მათგანზე დასრულდა საქმის წარმოება და შევიდა კანონიერ ძალაში, სადაც სრულად იქნა დაცული მუნიციპალიტეტის კანონიერი უფლებები და ინტერესები. (მოცემული საქმეებიდან 3 იყო სამოქალაქო სამართალწარმოების, 3 - ადმინისტრაციული სამართალწარმოების). შესაბამისად, დღეისათვის, სასამართლო წარმოებაშია სულ 52 საქმე, აქედან 38 საქმე არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების, (მათგან 3 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირადაა ჩაბმული ხაშურის რაიონულ სასამართლოში), 11 საქმე არის სამოქალაქო სამართალწარმოების, ხოლო 3 საქმე არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების. აღნიშნული საქმეებიდან 49 საქმე განიხილება ხაშურის რაიონულ სასამართლოში, 3 საქმე იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 7 საქმეზე სამსახური ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას. მათგან ერთზე დასრულდა გამოძიება, რომლის შედეგადაც მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესები დაცული იქნა. აღნიშნულ 6 საქმეზე გრძელდება გამოძიება. შესაბამისად, სამსახურის მიერ მათზე გრძელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი მხარდაჭერა აღმოუჩინა ზედამხედველობის სამსახურს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე, 132-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეებზე არსებულ 18 ადმინისტრაციულ წარმოებაზე, მათგან 12 ფაქტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება - სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ, მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და ამ სამსახურების საქმიანობისას პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მერიის სხვადასხვა სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, მომზადებულია 58 სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ეხებოდა მერიის სამსახურების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ;ი სამუშაოების მიმდინარეობისას, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვით განხორციელდა 56 924.40 (ორმოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოცდაოთხი) ლარის ჩარიცხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში - სამუშაოების წარმოების პირობების დარღვევით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის ურთიერთგაქვითვა მხარეზე შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარდგენილი იქნა დადგენილების 2 პროექტი, ასევე სამსახური სხვადასხვა სამსახურების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარდგენილ პროექტებზე ახდენდა შესაბამის სამართლებრივ კონსულტირებას და ვიზირებას, რომლებიც შემდგომ მოწონებული და მხარდაჭერილი იქნა საკრებულოს მიერ, ამავდროულად, მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე უშუალო გასაუბრების გზით.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში. მერიის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ მომზადდა 8 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც გადაგზავნილი იყო და იხილებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნულ ადმინისტრაციული საჩივრებებიდან 7 მათგანზე დასრულდა განხილვა, რომლითაც სრულად იქნა დაკმაყოფილებული მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი საერთო სარგებლობის გზის, მუნიციპალური შიდა გზის კერძო საკუთრებაში რეგისტრაციის გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ამ ადმ. საჩივრების განხილვისას დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესები. 1 ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მასზე გრძელდება ახალი სარეგისტრაციო წარმოება. ამავდროულად, აღნიშნული საჯარო დაწესებულების მიერ, მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ სხვადასხვა პრობლემატური გადაწყვეტილებების მიღების გამო, მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით განხორციელდა რამდენიმე, სიტუაციის შესაბამისი მიმართვა/მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად ჩართული იყო და სამართლებრივად უზრუნველყოფდა მერიაში, ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების ჩატარებას და მათ მიმდინარეობას. სამსახური საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, ასევე ჩართული იყო და სამართლებრივად უზრუნველყოფდა მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს, რაც გამოწვეული იყო ახალი საქართველოს კანონის -„თავდაცვის კოდექსი“-ს ამოქმედებით, რომლის თანახმადაც წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურის (გაწვევის ორგანიზება, გამოძახება, გაწვევა, გაწვევისგან გათავისუფლება ან გაწვევის გადავადება), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურის (ჩარიცხვა, გამოძახება, გაწვევა, გაწვევისგან გათავისუფლება ან გაწვევის გადავადება) წარმართვისა და ორგანიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და მისი შესაბამისი დანაყოფი. ამავე კოდექსით, 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ამ პროცედურების განხორციელება დაევალა მუნიციპალიტეტის მერს/მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სტრუქტურულმა ერთეულს. ამავდროულად, ამავე კოდექსით, ძალადაკარგულად გამოცხადდა რიგი სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც მუნიციპალიტეტს მინიჭებული ჰქონდა დელეგირებული უფლებამოსილება ამ სფეროში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 2023 წლის 28 ნოემბერს დაიწყო რეორგანიზაცია, რაც ითვალისწინებდა მერიის ინსტიტუციური მოწყობის შეცვლას - მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საშტატო ერთეულების შემცირებას/მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გაუქმებას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის არსებული სტრუქტურიდან და საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის მიღებას. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შემდეგ რეორგანიზაცია დასრულდა საანგარიშო პერიოდში - 2024 წლის 11 იანვარს.

სამსახური სისტემატურად ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილი) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, როგორც მუდმივმოქმედ ფორმატში, ასევე ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია” (შენიშვნა: კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე კომისიას 2022 წლის იანვარში შეუჩერდა უფლებამოსილება, თუმცა კანონის მოთხოვნების აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე კომისია უზრუნველყოფს სათანადო პროცედურების განხორციელებას, ხოლო მითითებულ ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადაგზავნილი იქნა წარმოებაში არსებული მასალები/განცხადებები, რომლებზეც გადაწყვეტილება არ იყო მიღებული);
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“;
3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;
4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია;

ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია;

ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუშაო ჯგუფი;

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო;

მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კონკრეტული ადმინისტრაციული საჩივრის/ა.ს.კ.-ით გათვალისწინებული საჩივრის შემსწავლელი და განმხილველი დროებითი სამუშაო ჯგუფი;

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის უწყებათაშორისი კომისია;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების ინვენტარიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლა-გადაწყვეტის მიზნით შექმნილი სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები (ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების სამუშაო ჯგუფი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამუშაო ჯგუფი, მონაწილეობითი ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფი და სხვა სამუშაო ჯგუფები);

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის კომპეტენციის, სპეციფიკის და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47)

ციხისძირი - ადგ., ბულბულისციხის ძველი სახელწოდება. ბულბულის ციხის გარშემო მდებარე ტერიტორიას უწოდებენ. მის ახლოს წიქარიშვილები და გოგალაძეები ცხოვრობდნენ.
ცხრაძმახე - ადგ., საძოვარი ტყეში.
ძველახო - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.
ძველახოების წყალი - ადგ., ღელე სამხრეთ-დასავლეთით.
წიქარიშვილების გზა - ადგ., გზა დასავლეთის მხარეს.
წიქარიშვილების უბანი - ადგ., უბანი დასავლეთის მხარეს
წიწკლა - ადგ., წყარო
ხატიმიწები - ადგ., სასაფლაო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ეკლესია იყო, ტერიტორია მას ეკუთვნოდა. ნაკურთხი იყო და ამიტომ ეძახოდნენ“. ჯახველაძეების წყალი - ადგ., წყარო, ღელე

სოფელი მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

ამოსაწევი - ადგ., სათესი.
ბეროს ახო - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.
ბურაოები - ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ თეთრი მიწაა და სათესად იყენებდნენ”.
ბურღვნალი - ადგ.,

გელაშვილების უბანი - უბანი.

გიოს წყარო - ადგ., წყარო.
დიდი ყანა - ადგ., სახნავი, მინდორი, ტყე დასავლეთის მხარეს.
ველოები - ადგ., საძოვარი, მინდორი, ტყე დასავლეთის მხარეს. ,,დიდი ველია, დიდი მინდორი”. ზედა ვაკე - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

ზედა ნაქოხარი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ადრე საძოვარი იყო, შემდეგ ფიჭვი გააშენეს”.
ზვარი/ს/სერი - ადგ., სერი, ტყე დასავლეთის მხარეს
თავისაბანი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,აქ თავის საბანი მიწაა”.

თეთრი მიწები - ადგ., სახნავი აღმოსაცვლეთის მხარეს. ,,თეთრი მიწაა”.

თხილები - ადგ., ტყე, საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ბევრი თხილია”
თხილნარი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ფიჭვნარია, თხილი აღარ არის, ადრე ყოფილა”.
კაკლები - ადგ., საძოვარი, მინდორი სოფელში. “ადრე სათესი იყო, ახლა გაშვებულია”.
კლდის ძირი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.
კორდები - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.
ლომიძეები - ადგ; უბანი.
ნადიკვარი - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.
ნაკოდი - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ნარუჯები - ადგ., სერი, სათესი.
ნაქერალი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ფიჭვნარია გაშეენებული, ადრე აქ ქერი მოჰყავდათ”.
ნაძვნარის ძირები - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ნაძვნარი იყო, გადაიწვა”.
პაიჭის მიწები - ადგ., სათესი.
პანტების უბანი - ადგ., უბანი.
პანტნარი - ადგ., სათესი.
პატარა ვაკე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ფიჭვნარია გაშენებული”.
რცხილნარი - ადგ., ტყე.
სანახშირე - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ნახშირს ამზადებდნენ. ჭყორის ნახშირს სწვავდნენ ადრე”.
სერი ახო - ადგ., მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,სერზეა ეს ახო“.

ტყემლარი - ადგ., საძოვარი, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ტყემალი ყოფილა ბევრი, ახლა აღარ არის”.
ურთხვნალი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ურთხველი ყოფილა ადრე, ახლა ცოტაა და პატარებია“.
ქვედა დიდვაკე - ადგ., საძოვარი სათესი დასავლეთის მხარეს.
ქვედა ნაქოხარი - ადგ., ტყე დასაველთის მხარეს.
ქვედა უბანი - უბანი, აქ ღონღაძეები ცხოვრობდნენ.
ქურდაძეების მიწები - ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს.
ღონღაძეები - ადგ; უბანი.
ღორი/ს/ტბა - ადგ., ნატბობი, ტყე, სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ტბა იყო და ღორები ბანაობნდენ ხოლმე”.
ჩხოკები - ადგ., მინდორი, ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ჭყორი და იელი ყოფილა ბევრი, ახლა ფიჭვნარია გაშენებული”.
შუამთა - ადგ., მთა დასავლეთის მხარეს. ,,აქედან გადავდივართ წიფაში“.
ცაცხვის ღელე - ადგ., ღელე
ცივწყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. რცხილა ყოფილა ადრე, ახლა აღარ არის.
ძელია - ადგილი

სოფელი რ უ ს ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი

აბანოს ღელე - ადგილი; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,კარგი აბანოა, თბილი წყალია. ცოტა რაოდენობის ამოდის. წინათ ორმოები ქონდათ. სამკურნალოა”

ბეხტეს ახო - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აბრამაშვილი იყო”. ბზიკია - ადგ., ტყე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ზედმეტი სახელია აბრამაშვილის”. ბლები - ადგილი; ,,რუსაანთუბნის შესასვლელთან, ბლების ბაღი გაუშენებიათ. ამჟამად მოუვლელ-გაპარტახებულია“(კ. ხარატიშვილი).
ბირკაძეების ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ბირკაძეები ცხოვრობდნენ, ადგილ-მამული მათ ეკუთვნოდათ”.
გაღმა უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთის მხარეს.

გორგაძეების ნასახლარი - ადგილი ჩრდილო-დასავლეთით. ,,ტბის ახლოს არის გორგაძეების ნასახლარი“(კ. ხარატიშვილი).
გორგაძეების უბანი - ადგ; უბანი
დათვის ბუდე - ადგილი; ,,სოფლის ზემოთ, წმინდა ანდრიას ეკლესიის ჩრდილოეთით, დიდი სერის დაბლა, ცივწყაროს მხარეს, ერთ დროს დათვები ბინადრობდნენ. დათვი თუ მაძღარია, მეტად თვინიერი და უწყინარი ცხოველია, მაგრამ თუ მოშივდა, მტრისას, დაუნდობელი ხდება. ერთხელაც, დამშეული ნადირი სოფლის ნახირს წაეპოტინა. მონადირეები მოსაკლავად ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ამაოდ. დათვმა თითქოს საფრთხე იგრძნო და სოფელს აღარ გაეკარა. მაშინ მისი ბუნაგის ძებნა დაიწყეს. შეიარაღებული ხალხი ტყეს შეესია. მათ შორის თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილიც იყო. ძებნის დროს ფოთლების გროვას წაწყდომიან, რომელიც დათვის ბუნაგად მიუჩნევიათ და ჩასაფრებულან. ასე გაგრძელებულა რამდენიმე დღე, მაგრამ დათვი არ გამოჩენილა. ფოთლების გროვა ტყეში სხვაგანაც ნახეს, გაცილებით მოზრდილიც. პატარა ბიჭს წამოუძახია: - აი, ის არის დათვის ბუდეო, - ხელი გაუშვერია. დათვის ბუნაგი მართლაც იქ აღმოჩენილა და იმ ადგილს დათვის ბუდე დაარქვეს“(კ. ხარატიშვილი).
დიდი ახო// დიდახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,რუსაანთუბნელმა სერგო მჭედლიშვილმა მოზრდილი ტყის მასივი გაჩეხა და მიწა სახნავ-სათესად გამოიყენა“(კ. ხარატიშვილი).
დუშიკოს ღელე - ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ღამბაშიძე ყოფილა ვიღაც ტეზრიდან, ადგილი ქონებოდა”.
ზინას კაკლები - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მანჩხაშვილი იყო. მას ქონდა ხოლმე. მეურნეობის დროს ჩამოართვეს. დაერქვა მერე. კაკლები იმის დარგული იყო”. ,,ზინა მიტრო მანჩხაშვილის მეუღლე იყო, რომელსაც კოდეებზე სახნავი მიწა ჰქონდა. აქ კაკლის ნერგები ახარა. უპატრონოდ მიტოვებული ორი ძირი კაკალი დღესაც დგას“(კ. ხარატიშვილი).
თანდილას ტყე - ადგ; ტყე. ,,წმინდა ანდრიას ეკლესიის ჩრდილოეთითაა, თანდილა ორჯონიკიძე უნდა ყოფილიყო“(კ. ხარატიშვილი).
ლაშე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ამოდის მჟავე წყალი, ლაშე წყალი, მარილიანი წყალი.”
მშრალი ღელეები - ადგ., წყაროები დასავლეთის მხარეს. ,,პატარა წყაროებია”.

ნატბევი - ადგ., ტყე, მუხნარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ჭენჭყობი ადგილია, ჭენჭყობი ჭაობიანი ადგილია”.

პატარა სათივე - ადგილი; მინდორი ჩრდილოეთის მხარეს.
რუსაანთ წყალი - ადგილი; წყარო სოფელში.
რუსაანთუბნის ღელე - ადგ; ღელე, ,,სათავეს იღებს კლდიანის წყაროდან, ჩამოუვლის მურყნებს, რუსაანთუბანს აღმოსავლეთიდან და ტეზრის ღელეს ერთვის“(კ. ხარატიშვილი).

საბადურები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე ტყე ყოფილიყო. რაღაც ბუდობდა”. ,,გადმოცემით საბადურებზე თივის ზვინებში იმალებოდა ი. სტალინი, ხალხის ხსოვნაში ეს ამბავი ჯერ კიდევ ცოცხლობს“(კ. ხარატიშვილი).

საჯვარე - ადგილი; ,,ტეზრიდან და რუსაანთ უბნიდან ქვიშხეთისაკენ მიმავალი გზების შესაყარ ადგილს საჯვარეს უწოდებენ“(კ. ხარატიშვილი).
სვიმონას ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.
ფშოტიკრები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გაშლილი არის ეგ ადგილი”.
ციწყაროები - ადგ., ტყე, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. “ცივი წყლებია”.

ჭიშკრები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. “კიკნაძეებს ეკუთვნოდა”.
ჭრიჭინას გორა - ადგ., გორაკი აღმოსავლეთის მხარეს. “ხარატიშვილი ყოფილიყო, ქრიქინას ეძახდნენ”

სოფელი ს ა ვ ა ნ ი ს უ ბ ა ნ ი

არჩილას ახო - ადგ., სახნავი. ,,ელისაშვილი იყო”.
ახალშენი - უბანი. იგივეა რაც ელიაშვილების უბანი. ,,სავანისუბანში ელისაშვილების უბანს ახალშენად უხმობენ“(კ. ხარატიშვილი).

ბაღათურის ახო - ადგ., სახნავი. ,,ვანო ბაღათურის ყოფილა”(კ. ხარატიშვილი).

ბეღლითის ღელე - ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. სავანის უბნისა და ბეღლითის საზღვარზე ჩამოდის.
ბირკიულები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ქვიშხეთის მიდგმაზეა. აქ ახლა ხეხილის ბაღებია. ვენახიც არის გაშენებული”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ერთ ოჯახის ისტორია -

ისინი ჩვენი ქალაქის ისტორიას ქმნიდნენ

ჟამთა სვლამ გადაუარა ამ პატარა სურათს (1951), რომელზეც აღბეჭდილია ხაშურის IX რკინიგზის საცხოვრებელი სახლის ეზოს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი.

მსგავსი გუნდები შეიქმნა ხაშურის რკინიგზის გასწვრივ მდებარე საცხოვრებელ სახლებში (ე.წ. „ზდანიებში“). ეს სახლები, რომლებიც დღესაც არსებობს, მეფის დროინდელია. მათი დანიშნულება იყო შრომითი რესურსების დასახლება ბაქო-ბათუმის (1883) რკინიგზის ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. გადმოცემით, ნობელის რამდენიმე კანტორა არსებობდა ხაშურში და ერთ-ერთი ჩვენი ეზოს სიახლოვეს იდგა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა ხაშურის რკინიგზის საკვანძო ცენტრი. ბაბუა ალექსი ბარამიძე, წარმოშობით ქუთაისელი, იმ

მარცხნიდან: თამაზ შენგელია, თამაზ წიქარიშვილი, ჯემალ ბიბიაშვილი, გოგი აბასაშვილი და დავით კიკნაძე.

დროისთვის პრივილეგირებული ადამიანი, რკინიგზის ორთქლმავლის მემანქანე გახლდათ, ბებია ნინო ბეგიაშვილი, დიასახლისი, გორში, რკინიგზელთა ოჯახში დაიბადა. ალექსისი და ნინოს სილამაზითა და ნიჭით განთქმული ოთხი ქალიშვილი შეეძინათ, რომლებიც ხაშურში 1980-იან წლებამდე ცხოვრობდნენ. დები: ქსენია, მანია, თამარ და მარგალიტა ბარამიძეები გამოირჩეოდნენ სიმღერის, ცეკვისა და დეკლამატორობის დიდი ნიჭით. მამა ნიკოლოზ შენგელია იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, ხაშურის რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მთავარი ექიმი 1945 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. ამ ოჯახში დავიბადეთ ცისანა შენგელია - ექიმი, გურამ შენგელია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და თქვენი მონა-მორჩილი თამაზ შენგელია - ინჟინერ-მშენებელი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭადრაკო მიმომხილველი.

რკინიგზის მშენებლობამ ხაშურში უცხოელი მუშახელის მოდინება გამოიწვია.

1890 წელს წიფის ორლიანდაგიანი გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული იყო 2000-ზე მეტი მუშახელი - გამოცდილი და კვალიფიკაციის სპეციალისტები, საჭირო კონტიგენტის ადგილობრივებით დაკომპლექტება შეუძლებელ იყო. ამიტომ, ამფეთქებლები, მბურღავები და სხვადასხვა სპეციალისტი ჩამოყავდათ რუსეთიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან, რომლებსაც ალპებში ჰქონდათ გამოცდილება მიღებული. განა სასიკეთო საქმეები არ გააკეთეს ხაშურის საკვანძო რკინიგზის განვითარებაზე დასაქმებულმა სპეციალისტებმა: ალბრეხტებმა, ზანიერებმა, ფრანჩუკებმა, რიმკუსებმა, ჟვილბრისებმა, როსებმა, ლეგრანებმა და ა.შ. რომლებსაც მხოლოდ გვარებიღა შემორჩათ ევროპული. ქართული ოჯახები შექმნეს და ამით კიდევ უფრო გაამდიდრეს ცხოვრებისეული ყოფითი ურთიერთობები.

აღსანიშნავია, რომ ევროპული ეროვნების მოსახლეობასთან, კერძოდ გერმანელებთან სტუმართმოყვარე ტოლერანტ ქართველებს 1817 წლიდან და მანამდეც ჰქონდათ ურთიერთობა, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო გერმანელი (ლუთერანი კოლონისტების) კომპაქტურ დასახლებებთან საქართველოში, რაც რუსეთის იმპერიის მეფეს ალექსანდრე I-ის დროს განხორციელდა.

XIX საუკუნის ბოლოს ხაშური რუსეთის იმპერიის გუბერნიაში შედიოდა. იგი მიხაილოვოდ იქნა წოდებული, რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარებამ ხელი შეუწყო კერძო სახლების მშენებლობას (ეზოებითა და ხეხილის ბაღებით). „ზდანიელებმა“ ეს მოსახლეობა „ქუჩელებად“ მონათლეს. მშობლების მუხლჩაუხრელ შრომას ახალისებდა შვილების სპორტული „საქმენი საგმირონი“. ბუნებრივად ვითარდებოდა ცხოვრების ჯანსაღი წესი, რაც ხელს უწყობდა ადამიანთა გაერთიანებას -„ზდანიელებისა და „ქუჩელების“ გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფეხბურთში, კალათბურთში, ჭიდაობასა და კრივში. რაც პიროვნულ დაპირისპირებას არ იწვევდა, პირიქით, „დალილავებული“ მოკრივეები განუყრელ მეგობრებად რჩებოდნენ! 50-იან წლებში საქართველოს ჩემპიონი საშუალო წონით კატეგორიაში ხაშურელი გოდერძი (გოდე) ტაბატაძე გახდა.

რაც შეეხება წყნარ თამაშებს (ჭადრაკი, შაში, ნარდი), აქ „ქუჩელები“ გვმასპინძლობდნენ, მათი ეზოების ხეხილის ჩრდილქვეშ, ერთმანეთს ვუპირისპირდებოდით და ვუზიარებდით თამაშის დროს შექმნილ პოზიციებს.

ქ. ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ერთ-ერთი პირველი მემანქანის, ვლადიმერ ჩიქოვანის მოგონებით (რასაც ყველა ხაშურელი დაუდასტურებდა), დეპოს უფროსი ილინსკი იყო.

ზაფხულობით ხაშურს სტუმრობდნენ მისი ვაჟიშვილები: იგორი(შემდგომში სახელგანთქმული მსახიობი), ვსევოლოდი და ბორისი. დედაჩემი და დეიდები დადებითად იხსენებდნენ ძმებ ილინსკებს. მათი ძალისხმევით დაინერგა სპორტული და კულტურული ღონისძიებები: მაგალითად: საინტერესო სპორტული თამაში კრიკეტი და ევროპული ცეკვები, რომელიც ხაშურის ძველ კლუბში იმართებოდა.

იგორ ილინსკის ახლო მეგობრობა აკავშირებდა ომის პერიოდში სურამის სამხედრო ჰოსპიტლის (შემდეგში „ვეცესპე“) სამედიცინო სამსახურის უფროს ვასილ კვიტინსკისთან, რომელიც დედაჩემის დედიაშვილი დედით ბეგიაშვილი იყო. როგორც შვილიშვილი, ხელოვნებათმცოდნე თეა გეგეშიძე იხსენებს, დიდი სამამულო ომის შემდეგ მეგობრები დიდხანს წერდნენ ერთმანეთს წერილებსა და მოსალოცებს, რომლებიც დეიდის სახლში ინახებოდა. იმ დროსათვის ცნობილი პიროვნება, ქველმოქმედი, განათლებული ხაშურელებისა და სურამელების საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. გვარით პოლონელი იგი შინაგანად ქართველი და საქართველოს პატრიოტი იყო, ლამაზი ქართული ხელწერა ჰქონდა. ოჯახში ახლაც ინახება 1942 წელს დაჭრილი სამხედროს - პლატოვის მიერ დახატული ჩემი დის პორტრეტი ძია ვასოს მინაწერით.

დაუვიწყარი იყო ქ. გორის თეატრის გასტროლები ხაშურში(1950-51წწ) რომლის მთავარი რეჟისორი ბატონი ვასო ყუშიტაშვილი გახლდათ. მსოფლიოში სახელგანთქმული ბელგიის ქ. ბრუსელის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, რეაბილიტაციის შემდეგ გორის თეატრს ჩაუდგა სათავეში (რეაბილიტირებულ მოქალაქეებს დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ!). მსახიობთა დასი ქალბატონ ლამარა გორდელაძის სახლს სტუმრობდა, რომლის ეზოს დაუპატიჟებელი სტუმრები ჩვენი გუნდის პატარებიც ვიყავით.

ხაშურის რკინიგზის კლუბის შესანიშნავი შენობის შესასვლელის კონტროლიორთან ძია ვასომ წარგვადგინა და გააფრთხილა: „ეს ბიჭები ჩემ გარეშე თუ მოვლენ, არ შეაჩერო, გაატარეო“.

დაგვსვა I რიგში, თვითონაც გვერდით მოგვიჯდა! დაიწყო სპექტაკლი „ჩაძირული ქვები“. ვერ გეტყვით, რომ შინაარსი სრულყოფილად გავიგეთ, მაგრამ თვალებში სევდა ჩაგვიდგა სამშობლოს მსხვერპლად შეწირული თავდადებული გმირის გამო. ამ დროს ძია ვასო ღიმილით გვიყურებდა. ვერც კი მივხვდით რატომ? იქნებ აქ, ხაშურის კლუბში, შეასრულა თავისი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მისია! შთაბეჭდილების გაზიარებისას უფროსი და-ძმის წინაშე ბატონ ვასოს „ღმერთის კაცი“ შევარქვი. გარუჯულ სახეზე ნუშისებრი ცისფერი თვალებით, შევერცხლილი თმით, მაღალი შუბლით, მკვრივი აგებულების საშუალო ტანით-ასეთი დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

საინტერესო ეპიზოდები მრავლად შეიძლება გავიხსენოთ, რომლებიც ძირძველი ხაშურელების მეხსიერებაში არსებობს და გაამდიდრებს ქალაქის ისტორიას.

ამ მხრივ ძალაუნებურად თვალწინ ჩემი სიყრმის უმცროსი მეგობარი, ქალაქის ცნობილი პიროვნება რეზო ინასარიძე წარმომიდგა, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 75 წელი. გულწრფელად ვულოცავ!

სიცოცხლის სადარაჯოზე

ნიკოლოზ (კოლია) ესტატეს ძე შენეგელია დაიბადა 1899 წელს, ქ. ქუთაისში. ესტატე შენგელია ერთ-ერთი პირველი ორთქლმავლის მემანქანე იყო აღმოსავლეთ საქართველოში (მეუღლე - ელისაბედ იაშვილი).

ნიკოლოზ შენგელიამ განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. იგი იცნობდა გამოჩენილ სახალხო პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელიც ორი წლით უფროს კლასში ერთ მერხზე იჯდა კოლიას დეიდაშვილთან - ბატონ ევგენი გვანცელაძესთან.

ბ-ნ ევგენის ხშირად იწვევდნენ ყოფილი საბჭოთა ქვეყნის ქალაქებში, ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობისა და ყრმობის მოგონებებთან დაკავშირებით.

ნიკოლოზმა 1929 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი (II წყება). მასთან ერთად სწავლობდნენ და მკურნალი ექიმის კვალიფიკაცია მიენიჭათ ქ. ხაშურის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელებს: დიმიტრი მაჩაბელს, გრიგოლ ჭკუასელს, და პავლე (პავლიკა) გვერდწითელს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ბ-მა პავლე გვერდწითელმა მიამბო: - 1937 წელს მე და კოლია დაგვიბარეს ხაშურის უშიშროების სამსახურში თავმჯდომარესთან, სასიკვდილოდ განწირული მეგობრები ველოდით განაჩენს! კოლიას - ანეგდოტებისთვის, ხოლო მე -თვითნაკეთი რადიომიმღებით ამერიკის ხმის მოსმენისთვის. გავიდა საკმაოდ დიდ დრო, უშიშროების თავმჯდომარის კარები რატომღაც არ იღებოდა. ამ დროს თავმჯდომარის მისაღებში შემოვიდა მემანქანე (თუ არ ვცდები ქიმერიძე) „ბიჭებო აქ რა გინდათ“ - თავმჯდომარე სათადარიგო უკანა კარებიდან გამოიყვანეს და გისოსებიან ვაგონში ჩასვეს! დაცვის რუსმა კარისკაცმა კარები შეაღო და იქ არავინ დახვდა.

ბედად გადარჩენილი ბიჭები ზამთრის იმ ბედნიერ სუსხიან საღამოს ხაშურის პერონზე ერთმანეთს ჩავეხუტეთ და გადარჩენას ვულოცავდით!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამსჯელები თვითონაც ისჯებოდნენ, მათი „საქციელის“ კვალის დაფარვის მიზნით. რაც შეეხება მოსახლეობას, ისინი კმაყოფილნი იყვნენ „ღმერთმა ცოდვები არ აპატიაო“.

სტატისტიკის გათვალისწინებით, 1937 წელს რეპრესიებს გაცილებით ნაკლები ადამიანი ემსხვერპლა, ვიდრე ე.წ. „პერესტროიკის“ პირობებში,

ისინი ჩვენი ქალაქის ისტორიას ქმნიდნენ

გაუთავებელი დაპირისპირების, ომების, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

ნიკოლოზ შენგელია მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში (1941-45). ხაშურის რაიონის რკინიგზის სამედიცინო სამსახურის უფროსმა (სამხედრო წოდებით მაიორი) 50-იან წლებში მოსკოვში წარადგინა რაიონის რკინიგზის საავადმყოფოს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება-გეგმა. მისი უშუალო მეგობრის, ცნობილი აკადემიკოსის ზელენინის (გულის წვეთების ავტორი) მხარდაჭერით ხაშურის რკინიგზის საავადმყოფოს მშენებლობა დამტკიცდა და დროულად შესრულდა.

ნიკოლოზ შენგელია გარდაიცვალა 1953 წელს. ჩემთვის (მაშინ 12 წლისა ვიყავი) დღემდე დაუვიწყარია დაკრძალვის პროცესი. საათობით უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი ხაშურის ცენტრალური სასაფლაოსკენ. ათასობით თავდახრილი რკინიგზელი უკანასკნელ გზაზე აცილებდა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანს.

მამა სამამულო ომის (1941-45) II ჯგუფის ინვალიდი იყო. მას ნაჭრილობევი ფეხები აწუხებდა და ყოველ საღამოს ე.წ. ელემენტარულ აბაზანას იკეთებდა, რაშიც მე ვუწევდი დახმარებას (მაშინ ექვსიოდე წლის ვიყავი) - ერთხელ შევეკითხე: „ მამი რამდენი გერმანელი მოკალი?“ ჩემდა მოულოდნელად ყური ამიწია: „ვინ გასწავლა, სად გაიგე“, მეწყინა და ცრემლები ვერ შევიკავე. მერე მომეფერა და დამმოძღვრა: „კაცის კვლას - უარი, კაცის კვლას -უარი -სიკეთის გზით უნდა იაროო.“

სურათზე: ნიკოლოზ შენგელია სამედიცინო პერსონალთან, 1943 წ.

მომზადებულია თამაზ შენგელიას მოგონებების მიხედვით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები გაწეული საქმიანობისთვის დაჯილდოვდნენ

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ ღონისძიებაზე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ რწმუნებულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ქეთი ციმაკურიძესთან, მუნიციპალიტეტის მერებთან და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად განვლილი ერთი წლის განმავლობაში სამსახურეობრივი საქმიანობის სანიმუშო შესრულებისთვის შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეები დააჯილდოვა, მათ შორის იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს 11 საჯარო მოხელე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმატებულ თანამშრომლებს, რწმუნებულთან ერთად, ჯილდო გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა. ჯილდო გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს: დავით კიკნაძეს, დავით ღვალაძეს, ლელა მაჭარაშვილს, გიორგი ცერცვაძეს, სერგო ლალიაშვილს, გიორგი პაპიაშვილს, შოთა კუჭაიძეს, კონსტანტინე ფრუიძეს, თამაზ ლომიძეს, მერის თანაშემწეს მერაბ ბარბაქაძეს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ნანა ხუციშვილს.

,,მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ საჯარო მოხელეს, როგორც აქ შეკრებილებს, ისე თქვენს კოლეგებს, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში თავდაუზოგავად და კეთილსინდისიერად ემსახურებით შიდა ქართლის რეგიონის განვითარებას და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას. უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიათ როგორც ქვეყნის, ისე ჩვენი მოსახლეობის წინაშე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თქვენი შრომა იყოს დაფასებული. მინდა თითოეულ თქვენგან გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სამსახურისთვის.“ - აღნიშნა ლევან ხარაბაძემ.

ახალი პროგრამა „პროფესიული განათლებისა და სწავლების მოდერნიზაცია სოფლის მეურნეობაში და სოფლის განვითარებაში“ ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდ სარგებელს მოუტანს

15 იანვარს, ხაშურის ახალგაზრდული სივრცე დაეთმო შეხვედრას გაეროს განვითარებისპროგრამის საქართველოში (UNDP Georgia) დაJA საქართველოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში „პროფესიული სასწავლო პროგრამები სოფლის განვითარების და მწვანე გადასვლის მხარდასაჭერად“, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის „პროფესიული განათლებისა და სწავლების მოდერნიზაცია სოფლის მეურნეობაში და სოფლის განვითარებაში“ ნაწილია.

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მწვანე მიმართულებით სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სოფლად მცხოვრები ადამიანიების პროდუქტიულობის, შემოსავლისა და დასაქმების გაზრდას და, თავის მხრივ, - მდგრადი სოფლის ეკონომიკის ზრდას. პროექტი „პროფესიული სასწავლო პროგრამები სოფლის განვითარების და მწვანე გადასვლის მხარდასაჭერად'', ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და ნიშური წარმოების სფეროში საჭირო დამატებითი სასწავლო პროგრამების შემუშავებას, რათა სოფლად მცხოვრებ ადამიანებს შეუქმნას შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

შეხვედრას უძღვებოდნენ პროექტის ლიდერი ნინო ლაგვილავა და ექსპერტი რუსუდან კვარაცხელია.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის, სურსათის უვნებლობის სააგენტოს რეგიონული სამმართველოს, კოლეჯ „ქართლის“, შიდა ქართლის სატყეო დეპარტამენტის, ხაშურის ტურისტული ცენტრის წარმომადგენლები, ფერმერები, მეწარმე ქალები, მათ შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ჩორჩანიდან.

აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში კოლეჯის არსებობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პროექტის განხორციელებაში.

სფეროს ექსპერტების მიერ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიქმნება ახალი კვალიფიკაციები. მომზადდება პროფესიული სასწავლო პროგრამები და კურიკულუმები მწვანე ტრანზიციის უნარების მიხედვით. შემუშავდება მინიმუმ ორი მწვანე კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში და ორი მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა, რაზეც თანამშრომლობის სურვილს და მზაობას გამოხატავს კოლეჯ „ქართლის“ ხელმძღვანელობა.

სოფლის ეკონომიკისა და ნიშური წარმოების პროგრამების განსახორციელებლად, კოლეჯების პედაგოგებისთვის, კერძო სექტორისა და პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის შემუშავდება ორი სასწავლო სახელმძღვანელო, გადამზადდება მინიმუმ 30 პედაგოგი და დარგის სპეციალისტი, რომელთაც ახალი კურსების მიმდინარეობისას პრაქტიკული მხარდაჭერა გაეწევათ.

ხოლო სოფლის თემის წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტებთან, მცირე საწარმოებთან და ერთად, განისაზღვრება და პრიორიტეტულად გამოვლინდება სოფლის ეკონომიკის სექტორები და ნიშური პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ ახალი უნარებისა და კვალიფიკაციების განვითარებას.

- განცხადება -

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე ქვიშხეთი ჰესების კასკადის (ქვიშხეთი 1 და ქვიშხეთი 2 ჰესის) მშენებლობა და ექსპლუატაცია.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 28.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქვიშხეთი ჰესების კასკადის მშენებლობა-ექსპლუატაცია.

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ენ-სი ჯგუფი 2022”.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტი.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2025 წლის 27 იანვარი, 12:00 საათი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხრამუხას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2025 წლის 27 იანვარი, 15:00 საათი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიშხეთის კულტურის სახლის შენობა, 2025 წლის 28 იანვარი, 12:00 საათი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ტაბიძის ქ. N2).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2025 წლის 30 იანვრის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გაგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

რედაქციისაგან: ბუნებრივია, აღნიშნული განცხადება ჩვენი გაზეთის მკითხველთა ფართო წრეს დააინტერესებს, რადგან საქმე ეხება მართლაც უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა იქცეს. ჩვენ ამ თემას, რა თქმა უნდა, კიდევ დავუბრუნდებით, დღეს კი საზოგადოების მცირე ინფორმაციას მივაწვდით, თუ კონკრეტულად რა იგეგმება.

საპროექტო „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესები წარმოადგენს შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მიერ დაგეგმილი 208 მგვტ დადგმული სიმძლავრის მტკვარის ჰესების კასკადის პირველ და მე-2 საფეხურს. მტკვარის ჰესების კასკადის შემადგენლობაში გათვალისწინებულია 13 ერთეული კალაპოტური ტიპის ჰესი მოწყობა, რომლებიც განთავსებული იქნება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიშხეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსანს შორის მოქცეულ არეალში. ქვიშხეთი 1 ჰესი

მოეწყობა ზღვის დონიდან 700-711 მ, ხოლო ქვიშხეთი 2 ჰესი 687-698 მ ნიშნულებს შორის მოქცეული მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით, თითოეული საფეხურის შემადგენლობაში იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- სათავე ნაგებობა (წყალსაგდები, წყალსაშვიანი კაშხალი);
- სამმალიანი გამრეცხი რაბი;
- თევზსავალი;
- წყალმიმღები;
- სააგრეგატო ბლოკი;
- ჰესის ზედა ბიეფში მოწყობილი ნაპირდამცავი დამბები.

სურათებზე: ქვიშხეთის ჰესების კასკადის საპროექტო ტერიტორიის ხედები.

-ახალი გამოცემა -

მნიშვნელოვანი ნაშრომი დიდი მამულიშვილის შესახებ

მზია ლობჟანიძის წიგნი „მიხეილ მურვანიშვილი”, მოიცავს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციების ერთობლიობას, რომლებიც ასახავს მიხეილ მურვანიშვილის ბუნების დაცვის საქმეში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს. ეს წიგნი, უნიკალური ნაშრომია, რომელიც ზუსტად და სიღრმისეულად გვაწვდის ინფორმაციას მიხეილ მურვანიშვილის, ბუნების დიდი დამცველის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე. ეს წიგნი არ არის მხოლოდ ისტორია დიდი ადამიანის შესახებ, არამედ, ერთგვარი მემორიალური პანორამაა, რომელიც ასახავს მურვანიშვილის მისწრაფებებს, წარმატებებს და მემკვიდრეობას ტყეების გაშენების და დაცვის საკითხში. ავტორმა, რომელმაც დიდი შრომა ჩადო ამ წიგნის მომზადებაში, შეძლო მურვანიშვილის ცხოვრებისეული გზის ისე გადმოცემა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს გაიცნოს ის ხედვები და ღირებულებები, რომლებიც მის პიროვნებას კარგად ასახავს და მკითხველს აქვს შესაძლებლობა, დაინახოს ამ დიდი ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა.

მიხეილ მურვანიშვილი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სურამში, მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ტყეების აღდგენას და დაცვას. მისი საქმიანობა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებს, როგორიცაა ხაშური, სურამი, ბორჯომი, წაღვერი და მიტარბი, კახეთის რეგიონი, სადაც მან გააშენა ტყის საფარი და მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა ბუნების აღდგენისთვის. ამ წიგნში მურვანიშვილის მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენილია მრავალფეროვანი და ღრმა ინფორმაცია: მისი დღიურები, წერილები, სტატიები და შვილის მოგონებები. ყველა ეს ელემენტი ქმნის მკაფიო სურათს ადამიანის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ ტყის მცველი იყო, არამედ ასევე აქტიური საზოგადო მოღვაწე. წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მისი მეგობრულ ურთიერთობებს მაშინდელ საზოგადო მოღვაწეებთან. მურვანიშვილის მიმოწერა ცნობილ ადამიანებთან – მეცნიერებთან, მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან – უდიდეს მნიშვნელობას ატარებს. ეს მიმოწერები ადასტურებს, რომ მურვანიშვილი იმ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებებთან ერთიანი ხედვით და ღრმა ინტერესით იკვებებოდა ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური საკითხების შესახებ. მისი წერილები არ მხოლოდ პირად, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო კონტექსტში წარმოაჩენენ მის დამოკიდებულებას ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მიმართ. ამ ურთიერთობებით და მიმოწერებით ნათლად ჩანს, თუ როგორ მოქმედებდა მურვანიშვილი როგორც საზოგადოების წევრი, რომელსაც ჰქონდა მეგობრული, პროფესიული და ინტელექტუალური კავშირები იმ დროის უმნიშვნელოვანეს პიროვნებებთან. წიგნში ასევე მოცემულია მურვანიშვილის დღიურები და მისი სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა სხვადასხვა პრესაში. ამ ჩანაწერებში ჩაშლილია მისი უნიკალური ხედვები და მსჯელობები, რომლებიც აქტუალურია როგორც იმ პერიოდთან, ისე დღევანდელობასთან მიმართებაში. მურვანიშვილს ჰქონდა დიდი გავლენა საზოგადოებაში, რაც წიგნში კარგად ჩანს. ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ფოტოები და ალბომი, რომლებიც თან ახლავს წიგნს. ეს სურათები გადმოსცემს მურვანიშვილის პირად და პროფესიულ ცხოვრებას, ხოლო ოჯახის ალბომიდან ამოღებული ფოტოები მას კიდევ უფრო აახლოვებს მკითხველთან. თამაზ ლაცაბიძის მიერ გამოკვლეული მურვანიშვილების გვარის ისტორია წიგნს მნიშვნელოვან ისტორიულ კონტექსტს ანიჭებს, რომელიც უფრო მეტ სიღრმეს სძენს მურვანიშვილის შრომას და მის წვლილს ქართულ ბუნების დაცვის სფეროში. ეს არის წიგნი, რომელიც ასახავს იმ ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომლის მემკვიდრეობა დღემდე მნიშვნელოვანია და აქტუალურია. მისი მიმოწერა, დღიურები და ფოტოები ქმნიან სრულ სურათს ამ დიდი ადამიანის საქმიანობისა და მის ღრმა ურთიერთობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდა არა მხოლოდ მის, არამედ იმ დროის საზოგადოებასაც. ამ რეცენზიაში აღვნიშნე მურვანიშვილის მეგობრული ურთიერთობების და მიმოწერის მნიშვნელობა, რაც გვიჩვენებს მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი შრომის ფართო სოციალურ კონტექსტს.



მიუხედავად იმ დიდი ინფორმაციის, რაც მურვანიშვილის ცხოვრებას, მოღვაწეობას და ფასდაუდებელ ამაგს ასახავს, მზია ლობჟანიძის წიგნი,უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ გაერთიანებულია ყველა ფოტო თუ ტექსტუალური მასალა, რაც გვაძლევს მთლიან სურათს და ინფორმაციას, რაც მკითხველისთვის ძალიან საინტერესოდ იკითხება. წიგნის რედაქტორი გახლავთ მაყვალა ხაჩიძე, კონსულტანტი-ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი თამაზ ლაცაბიძე.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.